ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 40-26

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის № 17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის № 17-55 დადგენილების დანართი 1-ით დადგენილ წესში (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 16/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 300130000.35.101.016056) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 41-ე პუნქტი:

„41. **დიდტანიანი ხე** - ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სმ-ს."

2. 21^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21^1. დიდტანიანი ხის გადარგვის წინაპირობები

1. ამ წესის 21-ე მუხლის საფუძველზე დიდტანიანი ხის გადარგვა დაიშვება, თუ:

ა) ხე არის საღი და კარგად განვითარებული;

ბ) ხე არ არის წვერხმელი;

გ) ხის ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატება 10-15%-ს;

დ) ხის მერქნის ბოლო წლების საშუალო შემატება არ არის მოცემული სახეობის საშუალო წლიურ შემატებაზე ნაკლები;

ე) ხის დიამეტრი აღემატება 25 სმ-ს.

2. ამ წესის 21-ე მუხლის საფუძველზე დიდტანიანი ხის გადარგვა დაუშვებელია თუ:

ა) ხე არის წვერხმელი ან/და ხმობადი;

ბ) ხეს გააჩნია გულის სიდამპლე ან არის დაავადებული;

გ) ხე არის ხნიერი და ზრდაში შესუსტებული;

დ) ხეს აქვს დაგრეხილი ღერო;

ე) ხის ვარჯი ცალმხრივად არის განვითარებული;

ვ) სწრაფმზარდი სახეობების (ევრხეი, აკაცია, ტირიფი) მწიფე და გადაბერებული ინდივიდებისათვის, რომელთა საამორტიზაციო ხნოვანება 40-50 წელია;

ზ) ხეს აქვს მექანიკურად დაზიანებული ფესვის ყელი და ღერო;

თ) ხე, რომელის რიზოსფერო (კოშის დიამეტრიდან გამომდინარე) 1,5-2,0 მეტრით ემიჯნება შენობა-ნაგებობას;

ი) ხე, რომლის ფესვთა სისტემა განვითარებულია დედა ქანის ბზარებსა და ნაპრალებში."

3. 21^1 მუხლის შემდეგ დაემატოს 21^2 მუხლი:

„მუხლი 21^2. 25 სმ ან ნაკლები დიამეტრის მქონე ხის გადარგვა

25 სმ ან ნაკლები დიამეტრის მქონე ხის გადარგვის თაობაზე სამსახური გადაწყვეტილებას იღებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**